ახალი ხარაგაული

№432 (6) 24 მაისი, 2021 წ.

მაჟორიტარი დეპუტატი პაატა კვიჟინაძე ხარაგაულში მოქალაქეებს შეხვდა

საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი პაატა კვიჟინაძე ხარაგაულში მოქალაქეებს შეხვდა. დეპუტატმა ადგილობრივების პრობლემები მოისმინა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დახმარება გაუწია. აღსანიშნავია, რომ ბ-ნ პაატა ხარაგაულის მოსახლეობას სისტემატურად ხვდება და მათს საჭიროებებს ადგილზე ეცნობა.

ამავე დღეს დეპუტატმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მუნიციპალიტეტისათვის აქტუალური საკითხი განიხილა. საუბარი შეეხო ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომელთა განხორციელება სამომავლოდ ხარაგაულში იგეგმება.

ხაზგასმით შეიძლება აღინიშნოს, რომ მაჟორიტარი დეპუტატის პაატა კვიჟინაძისა და ხარაგაულის მერის ბ-ნ კობა ლურსმანაშვილის აქტიური მუშაობით, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, ხარაგაულს დამატებით 2 800 000 ლარი გამოეყოფა.

როგორც ბ-ნ პაატა განმარტავს, აღნიშნული თანხით, დაახლოებით, 14 პროექტი განხორციელდება, აქედან 2 100 000 ლარი მიმდინარე წელს დაიხარჯება, ხოლო 700 ათასი გარდამავალ პროექტებზე მიიმართება.

დეპუტატმა „განახლებული რეგიონის" ფარგლებში დაგეგმილ პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით დაბა ხარაგაულში ცენტრალური ქუჩის იერსახე გალამაზდება.

„ხარაგაულის მერიის ხელმძღვანელ პირებთან მჭიდრო კონტაქტი მაქვს, ერთობლივად ვმუშაობთ და შედეგი ნამდვილად გვაქვს. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში ძალიან ბევრი მასშტაბური პროექტი განხორციელდება. წინა წლებში სტიქიით დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის მილიონ ორასი ათასი ლარი დაიხარჯება. ასევე რეგიონული განვითარების ფონდიდან ხუთ მილიონ ლარზე მეტი ღირებულების პროექტი გაკეთდება და ძირითადად საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთის განვითარების ფონდიდან ხარაგაულმა ყველაზე დიდი დაფინანსება- 650 ათასი ლარი - მიიღო. ეს ტემპი მომავალში კიდევ გაიზრდება და პროგრესი აუცილებლად გვექნება, "-განმარტა დეპუტატმა.

ხარაგაულში ვეტერანებისთვის უფასო სამედიცინო აქცია მოეწყო

ხარაგაულის საავადმყოფოში, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ორგანიზებით, თავდაცვის ძალების ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის უფასო სამედიცინო აქცია განხორციელდა. აქციის ფარგლებში, ბენეფიციარებს უფასო კარდიოლოგიური გამოკვლევები ჩაუტარეს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის ექიმებმა.

სამედიცინო მომსახურების მიმდინარეობას ადგილზე დაესწრნენ: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი, გენერალ-მაიორი კობა კობალაძე და დირექტორის მოადგილე ჯანდრი უბირია.

როგორც შეხვედრაზე ხარაგაულის მერმა კობა ლურსმანაშვილმა განმარტა, ვეტერანები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ და მნიშვნელოვანია, რომ რაიონიდან გაუსვლელად, ადგილზე შეძლეს მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მიღება.

კობა ლურსმანაშვილმა მადლობა გადაუხადა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა და ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის ექიმებს ხარაგაულში ამ მეტად საჭირო აქციის განხორციელებისათვის და შემდგომში თანამშრომლობისათვის მზადყოფნა გამოთქვა. მერმა განაცხადა, რომ ის მზადაა, ხელი შეუწყოს მსგავს ინიციატივებს და აქციამ უფრო ფართომასშტაბიანი სახე მიიღოს.

აქვე მოგახსენებთ, რომ კარდიოლოგიური პროფილის უფასო გამოკვლევები (ექიმი-კარდიოლოგის კონსულტაცია, ელექტროკარდიოგრამა, გულის ექოსკოპია, ლაბორატორიული გამოკვლევები) 100-ზე მეტმა ბენეფიციარმა ჩაიტარა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამედიცინო აქციით ისარგებლეს არა მხოლოდ ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებმა და მათი ოჯახის წევრებმა, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილმაც.

მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, სამუშაო თათბირი გამართა

ხარაგაულის მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, მერიის სამსახურის წარმომადგენლებთან სამუშაო თათბირი გამართა და დეტალურად გაეცნო თითოეული სამსახურის საქმიანობას, იქ არსებულ პრობლემებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

როგორც ვარლამ ჭიპაშვილმა განმარტა, ხარაგაულის მერის, ბ-ნ კობა ლურსმანაშვილის, დავალებაა, რაც შეიძლება გამართულად მუშაობდნენ მერიის სამსახურები და დროული რეაგირება ხდებოდეს შემოსულ განცხადებებზე, ასევე განსაზღვრულ ვადაში გაიცეს საჯარო ინფორმაცია.

„ყველაფერს უნდა ვაკეთებდეთ იმისათვის, რომ მოსახლეობა იყოს კმაყოფილი და მიღებული დავალებების შესრულებას მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ. ხელმძღვანელი ყველანაირად ხელს გვიწყობს და ჩვენ ყველა გამოწვევას სწორად უნდა ვუპასუხოთ." - განაცხადა ვარლამ ჭიპაშვილმა.

მერის პირველმა მოადგილემ შეხვედრაზე ისაუბრა ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების ვადებზე და ინფრასტრუქტურის სამსახურს დაავალა, რომ მაქსიმალური კონტროლი გაუწიოს მიმდინარე სამუშაოებს, რათა დროულად მოხდეს ამ მიმართულებით გამოყოფილი თანხების ათვისება.

ვარლამ ჭიპაშვილმა სოციალურ თემებზეც ისაუბრა და განმარტა, რომ, კობა ლურსმანაშვილის ინიციატივით, განახლდა სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა და სისტემატურად ხდება განცხადებების შესწავლა.

„სოციალური მიმართულებით მუნიციპალიტეტის მერია არაერთ პროგრამას ახორციელებს. ჩვენ ვცდილობთ, დავეხმაროთ მოქალაქეებს და შეძლებისდაგვარად გვერდით დავუდგეთ. ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ შემოსულ განცხადებებს და გადაწყვეტილება, რაც შეიძლება, უმოკლეს ვადებში მივიღოთ."

ვარლამ ჭიპაშვილმა ინვენტარიზაციის პროცესის ჩატარების აუცილებლობაზეც ისაუბრა.

„უნდა აღირიცხოს და მოხდეს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერა. მიმდინარე წლის ბიუჯეტში ჩადებულია გარკვეული თანხა, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას, ამ მიმართულებით გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები," -დასძინა ვარლამ ჭიპაშვილმა.

მერის პირველმა მოადგილემ ხაზგასმით გამოყო საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მუშაობა. მისივე თქმით, საბიუჯეტო თანხების განკარგვა მოსახლეობის ჩართულობით, ეფექტურად და რაციონალურად უნდა განხორციელდეს.

დასასრულ, ვარლამ ჭიპაშვილმა სამსახურის უფროსებს აქტიური მუშაობისაკენ მოუწოდა და კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს.

რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტები მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება

რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები აქტიურად ხორციელდება. ამ მიმართულებით, მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობამ პირველ ეტაპზე 5 მილიონ ლარამდე გამოუყო და, საერთო ჯამში, 20 პროექტი დაფინანსდა. როგორც ჩვენთან საუბარში ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი აცხადებს, ეს თანხა ძირითადად საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის მიიმართა და ბეტონის საფარი იგება ისეთ მონაკვეთებზე, სადაც კეთილმოწყობილი გზები არასდროს ყოფილა. ხარაგაულის მერი პროექტების მიმდინარეობას ადგილზე ეცნობა და, სამუშაოს ეფექტურად შესრულების მიზნით, მუდმივ კონტროლს ახორციელებს.

ამ ეტაპზე დასრულებულია ჩხერის (პირველი ეტაპი), ქვების (მეორე ეტაპი), ვერტყვილის (გოგიაშვილებისა და ეკლესიის უბნები), წყალაფორეთში ბაღისა და გაბეხაძეების უბნების გზების რეაბილიტაცია.

აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები ვარძიის საუბნო, მოლითის ცენტრალური, ერეთა-დინარის დამაკავშირებელი, ბაზალეთის საუბნო (ჭიპაშვილების უბანი), საქარიქედისა (მუხების უბანი) და ლაშის იგორეთის დამაკავშირებელი, მარელისში ცისკაძეების საუბნო, ვანი- ღუდუმექეთის დამაკავშირებელი, ვანი-სხლითის დამაკავშირებელი, სარგვეშის სასოფლო (ცისკაძეების უბანი), ახალსოფლის (მეორე ეტაპი) და ღარიხევის საუბნო (ხელიურის უბანი) გზების რეაბილიტაციაზე.

დასრულდა ტენდერი და უახლოეს მომავალში დაიწყება ბორითის (გოჭოურის უბანი), თეთრაწყაროსა (I ეტაპი) და ბაზალეთის საუბნო (ნანიტაშვილების უბანი II ეტაპი) გზების მობეტონება. როგორც სატენდერო დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, შემსრულებელი კომპანია ვალდებულია, სამუშაოები წლის ბოლომდე დაასრულოს.

აღსანიშნავია, რომ მთის განვითარების ფონდიდან მიმდინარე წელს გედსამანიისა და ზვარის გზების რეაბილიტაცია დაფინანსდა, რომლებზეც სამუშაოები უახლოს მომავალში დაიწყება.

გაეროს, საგზაო უსაფრთხოების კვირეულის ფარგლებში, ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრა მოეწყო

გაეროს, საგზაო უსაფრთხოების მეექვსე გლობალური კვირეულის ფარგლებში, ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე სალომე წურწუმია, არასამთავრობო ორგანიზაცია „ფონდი პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის" დირექტორი ირაკლი იზორია, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის რეგიონალური წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი ესწრებოდნენ.

შეხვედრის მიზანი საგზაო უსაფრთხოების საკითხებზე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება გახლდათ. გარდა ამისა, სკოლის მიმდებარედ მოსწავლეებმა გაეროს გლობალური კვირეულისთვის განკუთვნილი გზავნილი „ქუჩები სიცოცხლისთვის" დააწერეს და კიდევ ერთხელ მოუწოდეს მძღოლებს, ავტომობილით დაბალი სიჩქარით იარონ.

აღსანიშნავია, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტი მსგავს შეხვედრებს საჯარო სკოლის მოსწავლეებთან შემდგომშიც გააგრძელებს, რათა დაინტერესება და ჩართულობა ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით უფრო გაიზარდოს.

ხარაგაულის მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ იქ, სადაც სკოლის ზონაა და ბავშვები ხშირად გადაადგილდებიან, მეტი ყურადღებაა საჭირო და დაუშვებელია მაღალი სიჩქარით მოძრაობა. მისივე თქმით, ყველამ უნდა გავითავისოთ ჩვენი პასუხისმგებლობა, დავიცვათ კანონი და გავუფრთხილდეთ მომავალ თაობას.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი ხარაგაულში ვეტერანებს შეხვდა

ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, ინიციატივით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი კობა კობალაძე ხარაგაულში ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებს შეხვდა.

შეხვედრაზე კობა კობალაძემ იმ სოციალურ სერვისებზე ისაუბრა, რომლებსაც სახელმწიფო ვეტერანებს სთავაზობს. გარდა ამისა, ბატონმა კობამ სამსახურის საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზეც გაამახვილა ყურადღება.

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა დიდი ყურადღებით მოისმინა ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც თითოეული ვეტერანის წინაშე ჯერ კიდევ დგას.

შეხვედრაზე კობა ლურსმანაშვილმა კიდევ ერთხელ გააჟღერა ინფორმაცია ახალ სოციალურ პროგრამაზე, რომელიც მისი ინიციატივით მერიაში შეიქმნა და უშუალოდ ვეტერანების დახმარებას ითვალისწინებს.

მოგახსენებთ, რომ პროგრამის ფარგლებში მომართვიანობის შემთხვევაში, ვეტერანებს ერთჯერადი ფინანსური დახმარებითა და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით, თანადაფინანსების მიღება შეუძლიათ.

შეხვედრა ძირითადად კითხვა - პასუხის რეჟიმში წარიმართა და ვეტერანებმა მათთვის საინტერესო თემებზე ამომწურავი პასუხები მიიღეს.

ეკა შავიძე

დეპუტატებმა ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში დადებითად შეაფასეს

საკრებულოს მორიგ სხდომაზე დეპუტატებმა ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში დადებითად შეაფასეს. საკითხი ამავე სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა პეტრე შარიქაძემ წარადგინა. საანგარიშო პერიოდი 2020-2021 წლებს მოიცავდა და მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა ამ პერიოდში მუნიციპალიტეტში განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე.

„გასულ წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 4 895 514 ლარი გამოეყო, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა 25 პროექტი. აქედან 24 პროექტი იყო სასოფლო გზების რეაბილიტაციისა, ხოლო ერთი სპორტული მინი მოედნის მშენებლობისა. წინსწრებით მოხდა 7 პროექტზე თანხის ათვისება. ჯამში წინსწრებით ათვისებულმა თანხამ შეადგინა 470 120 ლარი, აქედან 2020-2021 წლებში გარდამავალი 1 პროექტი დასრულდა 2020 წელს. საბოლოოდ თანხის ათვისება შესრულდა 96 %-ზე მეტით, ხოლო 25 პროექტიდან დასასრულებელი დარჩა 2 პროექტი.

2021 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2 809 796 ლარი. თავდაპირველად დაფინანსდა 15 პროექტი. შემდგომ განკარგულებაში მოხდა ცვლილება და გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 3 303 707 ლარი, ხოლო პროექტების რაოდენობა გაიზარდა 18-მდე. დაფინანსებული 18 პროექტიდან 12 არის გასულ წელს დაწყებული, 6 კი-ახალია. ამ ეტაპზე, მიუხედავად წვიმიანი ამინდებისა, უკვე დასრულებულია 2 პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ჩხერისა და ქვების გზების რეაბილიტაციას, 8 პროექტზე ინტენსიურად მიმდინარეობს სამუშაოები, უახლოეს მომავალში კი დაიწყება ბორითის, თეთრაწყაროსა და ბაზალეთის გზების რეაბილიტაცია.“-აღნიშნა მომხსენებელმა.

პეტრე შარიქაძემ შეწყვეტილ პროექტებზეც ისაუბრა და დასძინა, რომ 2020 წელს ხელშეკრულება შეუწყდა და შავ სიაში მოხვდა რამდენიმე კომპანია, რომლებიც 2018-2019 წლებიდან ახორციელებდნენ პროექტებს და დასრულება ვერ შეძლეს. სულ ხელშეკრულება შეწყდა 11 პროექტზე, მოხდა დარჩენილი სამუშაოების გამიჯვნა და, ფასთა ცვლილების გამო, საჭირო გახდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან 299 215 ლარის დამატება. რაც შეეხება მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდს, მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ამ ფონდიდან 650 000 ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხით მოხდება ზვარისა და გედსამანიის გზების რეაბილიტაცია.

მომხსენებლის თქმით, „2020 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 890 000 ლარი დაიხარჯა და, საერთო ჯამში 140 პროექტი განხორციელდა. მათ შორის: გზების 45 პროექტი - 318 137 ლარი, გარე განათების 32 პროექტი - 233 575 ლარი, წყლის 32 პროექტი – 193 663 ლარი და კიდევ სხვადასხვა კატეგორიის 31 პროექტი - 108 523 ლარი. ამავე პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს ხარაგაულს 890 000 ლარი გამოეყო, ადგილობრივი ბიუჯეტიდან კი, თანადაფინანსების სახით, ხარაგაულის მერის კობა ლურსმანაშვილის ინიციატივით, 193 000 ლარი დაემატა. მოსახლეობის მიერ შეირჩა 156 საპროექტო იდეა, რომელთა განხორციელება წლის ბოლომდე დასრულდება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2019 წლის 7 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების შესასრულებლად 2019-2020-2021 წლებში განხორციელდა აქტიური სამუშაოები. სტიქიამ მუნიციპალიტეტს მიაყენა 5 მილიონ ლარზე მეტი ზარალი. სამუშაოები მიმდინარეობს ეტაპობრივად, უკვე განხორციელებულია 2 მილიონამდე ღირებულების სამუშაო 11 ობიექტზე. მიმდინარეობს შესაბამის უწყებებთან შეთანხმება დამატებითი თანხის გამოყოფის თაობაზე. 2021 წელს დამატებით გამოიყო 1 200 000 ლარი, შეირჩა 4 პრიორიტეტული პროექტი, რომლის განხორციელებაც მოხდება უახლოეს თვეებში.

აქტიურად ვთანამშრომლობთ მუნიციპალური განვითარების ფონდთან. დასრულდა ღორეშა-ბაზალეთის დამაკავშირებელი 11 კმ-იანი გზის მონაკვეთის სამუშაოები. ასევე დასრულდა ვერტყვიჭალისა და საღანძილის საბავშვო ბაღების მშენებლობა. მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს სამუშაოები სამი (მარელისის, ვერტყვიჭალის და წყალაფორეთის) სკოლის რეაბილიტაციაზე, რომლის ღირებულება 6 105 500 ლარია. დასრულების ფაზაშია კიცხის საჯარო სკოლის მშენებლობა. დაბა ხარაგაულში ეწყობა ასევე საკანალიზაციო სისტემა და, უწყვეტი წყალმომარაგების მიზნით, სამუშაოები ხორციელდება.“

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა სხდომაზე ხაზგასმით განმარტა, რომ სამსახურის თანამშრომლები, ინსპექტირების კომისიის წევრებთან ერთად, ინტენსიურ მონიტორინგს ახორციელებდნენ მიმდინარე სამუშაოებზე, ასევე ყოველ ხუთშაბათს ხდება შეხვედრა მშენებელ კომპანიებთან, რათა გამოირიცხოს ან დაუყოვნებლივ მოხდეს რაიმე ხარვეზის აღმოფხვრა.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის ამოსანღეოვა შწყვეტი წყალმომარაგებით სან თვეში ისარგებლებს

სულ მალე დაბისა და პატარა ხარაგაულის მოსახლეობა უწყვეტი წყალმომარაგებით ისარგებლებს. ამ მიზნით, სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. პროექტის ფარგლებში, რეაბილიტაცია უტარდება ლეღვნის სათავე ნაგებობიდან შემომავალ 14-კილომეტრიან მაგისტრალს, რომელიც ასევე ითვალისწინებს წყალმომარაგების ქსელების, მაგისტრალების, ორი ახალი აუზის, ჭაბურღილების, სათავე ნაგებობებისა და სატუმბი სადგურის მშენებლობას. გარდა ამისა, მოეწყობა ახალი რეზერვუარი, დაგეგმილია კორპუსებში შიდა გაყვანილობის მოწყობა და მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება. სამუშაოების დასრულების შემდეგ ხარაგაულის 4 000-მდე ოჯახს ხარისხიანი და სტაბილური წყალმომარაგება ექნება. როგორც ჩვენთან საუბარში ხარაგაულის წყალმომარაგების დირექტორი ტარიელ ავალიშვილი აღნიშნავს, კონტრაქტის მიხედვით, შემსრულებელი კომპანია ვალდებულია, სამუშაოები აგვისტოს ბოლოს დაასრულოს. ,,ლეღვნის სათავე ნაგებობიდან ხარაგაულამდე 14 კმ-იანი მაგისტრალია. დიდვაკიდან ხარაგაულამდე არსებულ 8-კილომეტრიან მონაკვეთზე დაგეგმილი სამუშაოები დასრულდა. რომელიც, ,,ბლექსი გრუპმა“ შეასრულა, რადგან ამ ტერიტორიის დაზიანება მათ მიერ მოხდა. ლეღვნიდან დიდვაკემდე არსებულ მონაკვეთზე, სამუშაოებს კომპანია „ელი და კა“ ახორციელებს და სამ თვეში დაასრულებს. რაც შეეხება გამრიცხველიანებას, ამ ეტაპზე 240 ოჯახია გასამრიცხველიანებელი, რის გამოც წყლის ორმაგი რაოდენობა იხარჯება. ამ პრობლემის აღმოფხვრა, კომპანია „ელი და კას“ ვალდებულებაა, რომელიც უზრუნველყოფს - აბონენტების გამრიცხველიანებასა და თითოეულ ოჯახთან ინდივიდუალური მრიცხველის დამონტაჟებას. მინდა, ხარაგაულის მოსახლეობას ვაცნობო, რომ წყლის მიწოდებასთან არსებული პრობლემები ლეღვანში ჭაბურღილის მშენებლობის დასრულებისთანავე მოიხსნება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს კანალიზაციის სისტემის მოწყობა, რომელიც ოქტომბერში დასრულდება“. - აცხადებს ტარიელ ავალიშვილი.

ხარაგაულის მერის კობა ლურსმანაშვილის განმარტებით, უწყვეტი წყალმომარაგებისა და წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემის მოსაწყობად, მუნიციპალიტეტში რვა მილიონ ლარამდე დაიხარჯება.

,,შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ დაპირება, რომელიც გავეცით წყლის 24 -საათიან მიწოდებასთან დაკავშირებით, წარმატებით სრულდება. არ შეიძლება არ ვისაუბრო წყალარინების (კანალიზაციის) სისტემაზე, რომელიც წლებია, მუნიციპალიტეტს აწუხებს და ეს საკითხიც დადებითად გადაიჭრა. პარალელურად ვცდილობთ, სამუშაოების შესრულების დროს ნაკლები დისკომფორტი ჰქონდეს მოსახლეობას. შევხვდით შემსრულებელ კომპანიას და მოვთხოვეთ, რომ იქ, სადაც მოხდება წყლის მილების ჩალაგება, დროულად განხორციელდეს ასფალტის დაგება. მიხარია, რომ რამდენიმე თვეში ხარაგაულის მოსახლეობა მაღალი ხარისხის სასმელ წყალს უწყვეტად მიიღებს და პარალელურად ახალი წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემა იქნება .“-განაცხადა ხარაგაულის მერმა.

შეგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული პროექტები საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

მარიამ შარიქაძე

რამდენიმე სოფლის გზის რეაბილიტაციის მიზნით ტენდერები დასრულდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების მშენებლობა ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება და ბეტონის საფარი იგება ისეთ მონაკვეთებზე, სადაც კეთილმოწყობილი გზა არასდროს ყოფილა. ამჯერად, რამდენიმე სოფლის გზის რეაბილიტაციის მიზნით, ტენდერები დასრულდა. კერძოდ, უახლოეს მომავალში კეთილმოწობილი გზით ისარგებლებს სოფელ ბაზალეთში ნანიტაშვილების უბნის მოსახლეობა. გზის კეთილმოწყობის სამუშაოები ორ ეტაპად განხორციელდება და პირველ ეტაპზე, 2021 წელს, შესრულდება 60 000 ლარის ღირებულების სამუშაოები. აღნიშნულ მონაკვეთზე ბეტონის საფარის დაგება ხელშეკრულების გაფორმებიდან ორ თვეში დასრულდება. მეორე ეტაპზე, 2022 წელს, განხორციელდება დარჩენილი მონაკვეთის რეაბილიტაცია და, საერთო ჯამში, ამ პროექტზე 269 649 ლარი დაიხარჯება.

გზის კეთილმოწყობა განხორციელდება სოფელ თეთრაწყაროში, რომელიც ასევე ორ ეტაპს მოიცავს და საერთო ღირებულება 354 349 ლარია.

დასრულდა სოფელ გედსამანიის (ღირებულება 535 948 ლარი), სოფელ ბორითისა (გოჭოურის უბანი-ღირებულება 169 251 ლარი) და ზვარის გზების (ღირებულება 700 482 ლარი) რეაბილიტაციის მიზნით გამოცხადებული ტენდერები. ამ ეტაპზე შერჩევა-შეფასების პროცესი მიმდინარეობს და გამარჯვებული კომპანია წლის ბოლომდე უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებას.

გარდა ამისა, კეთილმოწყობილი გზით ისარგებლებენ სოფელ გოლათუბნის, (სხვერისა და სადგურის უბნები) მცხოვრებლები. გზის რეაბილიტაციაზე ტენდერი 290 153 ლარზეა გამოცხადებული და სამუშაოები მიმდინარე წელს დასრულდება.

ეკა შავიძე

„მაღლობა წლობისთვის“

(ინტერვიუ ხუნევის მაჟორიტარ დეპუტატ ლენა აბაშიძესთან)

ხუნევის ადმინისტრაციული ერთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა, რომელშიც ხუთი სოფელი: ხუნევი, ვერტყვილა, ვერტყვიჭალა, ბჟინევი და გედსამანია შედის. აღსანიშნავია, რომ ბჟინევი და გედსამანია მაღალმთიანი სოფლის სტატუსს ატარებს და ადგილობრივები გარკვეული შეღავათებით სარგებლობენ.

ხუნევის თემს მუნიციპალიტეტის საკრებულოში, უკვე მეორედ, ლენა აბაშიძე წარმოადგენს. ქალბატონი ლენა ჰუმანურობით, სიკეთითა და შრომისმოყვარეობით გამორჩეული პიროვნებაა. მისი მაჟორიტარობის პერიოდში თემში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა და უამრავ მოქალაქეს გაეწია დახმარება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქ-ნ ლენა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მაქსიმალურად გვერდით უდგას მოსახლეობას და ყოველდღიურ რეჟიმში ეცნობა მათს ყოფა-ცხოვრებას.

გარდა პოლიტიკურ ასპარეზზე საქმიანობისა, განათლებით გეოგრაფიის სპეციალისტი, 30 წელია ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის დირექტორია და არაერთი ღირსეული თაობის აღმზრდელია.

ქ-ნ ლენა ჩვენთან საუბრაში საკრებულოს წევრის უფლებამოსილების პერიოდს აჯამებს და გვიყვება, თუ როგორ ანაწილებს დროს სკოლის, ოჯახისა და პოლიტიკური საქმიანობისთვის.

„მაღალი პასუხისმგებლობით ვეკიდები ყველა საქმეს. ვცდილობ, უყურადღებოდ არავინ დავტოვო და დრო ყველა მიმართულებით შესაბამისად გავანაწილო. როცა შენი საქმე გიყვარს და პასუხისმგებლობით ეკიდები მას, ამ შემთხვევაში დაღლა ნაკლებად გახსენდება. განეული შრომის შედეგების დანახვა კი ყველაზე დიდი ბედნიერებაა.

როდესაც პირველად შემომთავაზეს, რომ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს„ პარტიიდან ხუნევის თემში კენჭი მეყარა დეპუტატად, რა თქმა უნდა, ეს იყო დიდი პასუხისმგებლობა. ყველაფერი უნდა გამეკეთებინა, რათა მოსახლეობისა და მმართველი გუნდის ნდობა გამემართლებინა. საქმეს მიადვილებს ის, რომ ხუნევის თემს კარგად ვიცნობ და თითოეული მოქალაქის პრობლემა ვიცი. თემში 1600 ამომრჩეველია და, რასაკვირველია, ყველას დახმარებას ვერ შევძლებ, მაგრამ მაქსიმუმს ვაკეთებ, რომ უყურადღებოდ არავინ დამრჩეს. მოხარული ვარ, რომ თითოეული მოქალაქის წუხილი აღმასრულებელ თუ საკრებულოს წარმომადგენლებს ყოველთვის გულთან მიაქვთ და კომპეტენციის ფარგლებში გვეხმარებიან.

30 წელია, სკოლის დირექტორი ვარ და ვამაყობ განვლილი გზით. გავუძელი ყველანაირ გამოწვევას, ამით მივაღწიე იმას, რომ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა ერთ-ერთი წარმატებულია. სკოლაში დასაქმებულია პროფესიონალი კადრები, მათ შორის, ხუთი წამყვანი მასწავლებელია. ამ შედეგებზე არ ვჩერდებით და დაუღალავად ვშრომობთ უფრო მეტი წარმატებისთვის. სასიხარულოა, რომ ხარაგაულის მერის კობა ლურსმანაშვილის, საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძისა და მაჟორიტარი დეპუტატის პაატა კვიჟინაძის ერთობლივი მუშაობით, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით სკოლას რეაბილიტაცია უტარდება. პროექტზე 2 მილიონი ლარი იხარჯება და დაგეგმილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობა, მოწესრიგდება სველი წერტილები, მოეწყობა ხელოვნურსაფარიანი სპორტული დარბაზი და იქნება ადაპტირებული გარემო შშმ პირთათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ხუნევის ადმინისტრაციულ ერთეულში ბევრი მასშტაბური პროექტი განხორციელდა, პრობლემებიც გვაქვს, რომელთა მოგვარება ეტაპობრივად ხდება. ბოლო წლებში განხორციელდა ხუნევის (კალოს უბნის), ვერტყვიჭალის (გოგიაშვილებისა და ბლიაძეების უბნები), ვერტყვილას, ბჟინევისა და გედსამანიის გზების მობეტონება. ხუნევსა და ბჟინევში შეკეთდა ორი ხიდი, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოეწყო ოთხი სარიტუალო დარბაზი, მოიხრეშა შიდა საუბნო გზები, გაკეთდა ხუთი ხიდ-ბოგირი, გარე განათებისა და სანიაღვრე სისტემები, მოხდა სასაფლაოების შემოღობვა. აგრეთვე რამდენიმე უბანი დაკმაყოფილდა წყლის მილებით, რომლის შეძენაც მერიამ უზრუნველყო.

სამომავლოდ დაგეგმილია გედსამანიისა (ტაძრამდე მისასვლელი გზის) და ვერტყვილას (მეორე ეტაპი) გზების რეაბილიტაცია. ხუნევის საბავშვო ბაღის შენობის აგება, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გარე განათების სისტემების, გზისა და ხიდ-ბოგირის შეკეთება, მოხდება რამდენიმე საუბნო გზის მობეტონებაც, მოეწყობა გზის საყრდენი კედელი, სანიაღვრე და სასმელი წყლის სისტემები.

- თქვენი დეპუტატობის პერიოდში ხუნევის თემის ორ სოფელს მაღალმთიანის სტატუსი მიენიჭა. რას გვეტყვით აღნიშნულთან დაკავშირებით?

-საამაყოა, რომ სწორედ ჩემი დეპუტატობის პერიოდში, ბატონი კობა ლურსმანაშვილის დიდი მხარდაჭერითა და ძალისხმევით თემის ორ სოფელს - გედსამანიასა და ბჟინევს - მაღალმთიანის სტატუსი მიენიჭათ. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ბატონი კობა საკანონმდებლო ორგანოში საქმიანობდა და მთის საბჭოს წევრი გახლდათ. ადგილობრივები სარგებლობენ არაერთი შეღავათით, რამაც განაპირობა ის, რომ სოფელში ხალხი დაბრუნდა და დაკავდა სხვადასხვა საქმიანობით. თითქმის ყოველ წელს მთის განვითარების ფონდიდან გარკვეული თანხებით ფინანსდება საგზაო ინფრასტრუქტურის მონესრიგება. გედსამანიაში გვაქვს არაჩვეულებრივი გზა. მიმდინარე წელს კი ბეტონის საფარი დაიგება სოფელში არსებულ ვარდობის სალოცავამდე. რთულ მდგომარეობაში იყო სოფელი ბჟინევი, სადაც ავტომობილით გადაადგილება ვერ ხერხდებოდა და ეს პრობლემაც გადავჭერით. სამწუხაროა, რომ მაღალმთიან სოფლებში დგას ინტერნეტის პრობლემა და სატელეფონო კომუნიკაცია ვერ ხერხდება, იმედია, ეს საკითხიც უახლოეს პერიოდში მოგვარდება.

სოფელ გედსამანიაში მცირე კონტინგენტიანი სკოლაა, რომელიც შერწყმულია სოფელ ხუნევის საჯარო სკოლასთან, რის გამოც შეღავათებით ვერ სარგებლობენ პედაგოგები. ამ საკითხზე საქმის კურსშია ბატონი პაატა კვიჟინაძე, ვმუშაობთ განათლების სამინისტროსთან, რათა სკოლამ გაიაროს ავტორიზაცია და მიენიჭოს დამოუკიდებელი სტატუსი.

სოფელში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი და მშობლებისათვის სასიამოვნოა, რომ მათს შვილებს შესაბამისი განათლების მიღება ადგილზე შეუძლიათ.

მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით დაინიშნა ექთანი, რომელიც პირველად სამედიცინო მომსახურებას უწევს ადგილობრივებს.

მინდა, პატივისცემა გამოვხატო მაჟორიტარი დეპუტატის პაატა კვიჟინაძისა და ხარაგაულის მერის კობა ლურსმანაშვილის მიმართ, რომლებიც ყოველგვარ საკითხს დიდი გულისყურით ეკიდებიან და გვერდით გვიდგანან.

– ვერტყვიჭალაში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი საბავშვო ბაღის შენობა აიგო, არის თუ არა ბავშვთა კონტინგენტი სოფელში?

-ვერტყვიჭალაში საბავშვო ბაღი ნამდვილად რთულ მდგომარეობაში იყო და მიმდინარე წელს ევროპული სტანდარტების მქონე ორსართულიანი შენობა აიგო. ამ ეტაპზე სკოლამდელ დაწესებულებაში 45 აღსაზრდელია, კონტინგენტი კი მზარდია. ამორტიზებულია ხუნევის ბაღის შენობაც, რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტში თავისი სიძველით გამოირჩევა. მიმდინარეობს მუშაობა და, ვფიქრობ, ახლო მომავალში ეს საკითხიც დადებითად გადაიჭრება.

-ქალბატონო ლენა, როგორია ხუნევის თემის მცხოვრებთა სოციალური მდგომარეობა?

-მოგეხსენებათ, რომ მიმდინარეობს ავტობანის მშენებლობა, რომელზეც ადგილობრივები არიან დასაქმებულნი. ყოველივემ კი ხელი შეუწყო მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. გარდა ამისა, მოსახლეობა დაკავებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით. ასევე სისტემატურად სარგებლობენ იმ სოციალური პროგრამებით, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. აქვე მინდა, შევეხო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას, რომელმაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე იხსნა.

სოციალური შემწეობის დანიშვნასთან დაკავშირებით არის პრობლემები. მოსახლეობას ჰგონია, რომ ეს საკითხი უშუალოდ ჩვენი გადასაწყვეტია, რაც ასე ნამდვილად არაა. კარგი იქნება, თუ ამ მიმართულებით განხორციელდება ცვლილება და ქულების დათვლის პერიოდში მოხდება მერის წარმომადგენლისა და დეპუტატის რეკომენდაციების გათვალისწინება.

მინდა, ვისაუბრო კოვიდპანდემიაზე, რომელიც გლობალური პრობლემაა. ვფიქრობ, ვაქცინაცია აუცილებელია, ამიტომ ჩემს თემში პირველი მე ავიცერი და მივეცი სხვებს მაგალითი, რომ ვაქცინა საშიში არაა.

-და ბოლოს, რას ეტყოდით მოსახლეობას?

-ეს წელი გამორჩეულია იმით, რომ ოქტომბერში თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება. თავის მხრივ კი ყველა არჩევნებს სიმძაფრე და ახალი გამოწვევები აქვს. მოსახლეობას მივმართავ, კარგად შეაფასონ გაკეთებული საქმე და სწორი არჩევანი გააკეთონ. და ბოლოს, მინდა, მადლობა გადავუხადო თითოეულ ამომრჩეველს, ურთიერთობის, ნდობისა და თბილი დამოკიდებულებისათვის. ღრმად მწამს, რომ მოსახლეობის ნდობა გავამართლე და გარკვეული წვლილი შევიტანე ხუნევის თემის განვითარებაში. ვფიქრობ, თუ კიდევ მომეცემა შანსი, თავს არ დავზოგავ, ღირსეულად ვემსახურო ჩემს უსაყვარლეს კუთხეს.

თამარ მაღრაძე

ჩვენ გაგვახარეს...

ხარაგაულის ინტელექტუალური საზოგადოება თავის სულიერ საუნჯედ მიიჩნევს რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულ თეატრს (დამაარსებელი და ხელმძღვანელი იზა ვეფხვაძე) და ყოველთვის დიდი ინტერესით ეგებება ყოველი იმ ჩანაფიქრის ხორცშესხმას, რომელიც ამაღლებს და აძლიერებს ჩვენს კულტურულ პოტენციალს.

ბუნებრივია, კორონავირუსის პანდემიამ თეატრის შემოქმედებით კოლექტივს მაყურებელთან ბევრ შეხვედრაზე ათქმევინა უარი, თუმცა აღნიშნულ პერიოდში, რეგულაციების სრული დაცვით, მაინც იკვეთებოდა თეატრის სამომავლო პერიპეტიები ერთგული საზოგადოების სასიკეთოდ და გასახარებლად...

მიმდინარე წლის ზაფხულის თვეები თეატრის პროგრამით ძალზე შთამბეჭდავი იქნება ადგილობრივებისა და ხარაგაულში მობრძანებულ დამსვენებელთათვის. ივნისის პირველ ნახევარში სოფელ ფარცხნალში, გალაკტიონის ცაცხვის ქვეშ, მოეწყობა პრეზენტაცია იზა ვეფხვაძის წიგნისა „გალაკტიონის ნატერფალებზე“ (მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემა).

აღნიშნული წიგნის მიხედვით, თეატრის კოლექტივის მიერ მიმდინარეობს დოკუმენტური ფილმის გადაღება, რომელშიც მხატვრულად იქნება მოთხრობილი დიდი გალაკტიონის ფარცხნალში ერთწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის საინტერესო დეტალები. ფილმის გმირები ლიტერატურული თეატრის თანამშრომლები არიან.

კარგად მოგეხსენებათ, რომ პოეტის ნატერფალებს, სათუთად ინახავს ღირსეული ფარცხნალელის, ბატონ ელგუჯა ხარაძის, მამაპაპური კერა, რომელშიც პოეტის „ოთახი-მუზეუმია“ გახსნილი (ფილმის ჩვენება აგვისტოშია დაგეგმილი).

ივნისის მეორე ნახევარში ხარაგაულს კვლავ ესტუმრებიან ცნობილი მხატვრები და პლენერი „გამა“ უკვე მეექვსედ გაიმართება. მხატვართა ნიჭიერებით ტილოებზე ამეტყველდება ხარაგაულისა და მისი სოფლების ულამაზესი ხედები. ტრადიციულად ნამუშევრები საჩუქრად გადაეცემა თეატრს და დაივანებს მის საგამოფენო სივრცეში.

ივლისში ლიტერატურული თეატრი ხარაგაულს აწვევს ანსამბლ „სუხიშვილების“ ლეგენდარულ მოცეკვავეს ბატონ თენგიზ უთმელიძეს ცნობილი ფოტოგამოფენით „სუხიშვილები“ სცენაზე და სცენის მიღმა“.

ქალბატონ იზა ვეფხვაძეს კარგა ხანია, მზად აქვს ცნობილი ქართველი პოეტის ტარიელ ხარხელაურის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მონო სპექტაკლი, რომლის ჩვენების კონკრეტული დრო დაზუსტებით ეცნობება საზოგადოებას.

მაშ ასე, ძვირფასო ხარაგაულელებო, ესაა არასრული ჩამონათვალი იმისა, რითაც მალე გაგვახარებს დიდი მამულიშვილის სახელობის ხარაგაულის ლიტერატურული თეატრი.

მომავალ ბედნიერ შეხვედრამდე!

მერი გიორგიძე

ვუსურვოთ!

1962 წლიდან, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ქალაქ გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, სასკოლო ჟურნალი ეჭირა ხელში და, ათეული წლების განმავლობაში, მომავალ თაობებს ქართული ენისა და ლიტერატურის მადლს აზიარებდა, ჩვენი დიდი ისტორიის ფესვებზე მყარად დგომის სურვილს უძლიერებდა...

ამაგდარი პედაგოგი მერი გიორგიძე დღეს კვლავ საზოგადოებრივი ყოფის აქტიურ პოზიციებზეა და მუდამ სიახლეთა ძიებაშია. უყვარს სიცოცხლე და აქვს სიკეთესთან თანაზიარობის დიდი უნარი.

ღირსეულ ქალბატონ მერი გიორგიძეს 17 მაისს 82 წელი შეუსრულდა. საქართველოს ქალთა საბჭომ (თავმჯდომარე მზექალა შანიძე - ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი) იგი მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისათვის მადლიერების სიგელით დააჯილდოვა.

„- მივულოცოთ ამაგდარ ქალბატონს, ხარაგაულის რეგიონალური ქალთა საბჭოს ორგანიზაციის აქტიურ წევრს, დაბადების დღე, ვუსურვოთ ჯანმრთელობა, წელთა სიმრავლე

და კვლავ შემართებითი მოღვაწეობა,“- ვკითხულობთ ქალთა საბჭოს მილოცვის ტექსტში.

ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“ დიდ მადლიერებას გამოხატავს საქართველოს ქალთა ცნობილი ორგანიზაციის მიერ ქალბატონ მერი გიორგიძის მიმართ გამოჩენილი ესოდენ დიდი ყურადღების გამო.

იუბილარ ქალბატონს, ჩვენს საიმედო თანამშრომელს, ვუსურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას და ჩვეული შემოქმედებითი ენერგიის კიდევ უფრო გაძლიერებას.

ხარაგაულის მერიაში ახალი სამსახური იქმნება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური იქმნება. აღნიშნული საკითხი 17 მაისს გამართულ ბიუროს სხდომაზე მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა კახაბერ გოლუბიანმა წარმოადგინა. როგორც მომხსენებელმა განმარტა, შესყიდვების განყოფილებას, რომელიც მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში შედის, საკმაოდ დიდი და საპასუხისმგებლო უფლებები აკისრია. კახაბერ გოლუბიანი თვლის, რომ აღნიშნული განყოფილების სამსახურად წარმოდგენის შემთხვევაში, ამ მიმართულებით საქმიანობა უფრო ეფექტური გახდება. მისივე თქმით, სამსახური ექვსი საშტატო ერთეულით დაკომპლექტდება, სამზე ვაკანსია გამოცხადდება, დანარჩენზე კი განყოფილებაში დასაქმებული საჯარო მოხელეები დარჩებიან.

დაუჭერენ თუ არა დეპუტატები მერის მიერ წარმოდგენილ ახალ ინიციატივას მხარს, ამის შესახებ ცნობილი შვიდ ივნისს გამართულ საკრებულოს სხდომაზე გახდება.

ეკა შავიძე

ხარაგაულში სოფლას 138 მეთორმეტეულასელი დაემშვიდობა

20 მაისს ქვეყნის მასშტაბით სკოლებში „ბოლო ზარი“ დაირეკა. თუმცა ქვეყანაში შექმნილი ეპიდვითარებიდან გამომდინარე, გამოსაშვები საღამო სკოლის ეზოებში გაიმართა და მოსწავლეებს ამ დღის გრანდიოზულად აღნიშვნის შესაძლებლობა არ მიეცათ. „ბოლო ზარი“ სიხარულთან და ცრემლებთან არის დაკავშირებული, რომელიც ამ დღეს ნამდვილად შეინიშნებოდა. მოსწავლეები დიდი სიყვარულით დაემშვიდობნენ მშობლიურ სკოლას და მასწავლებლებს მადლობა გადაუხადეს იმ ღვაწლისა და თავდადებისათვის, რაც მათ მიმართ ამ წლების განმავლობაში გამოიჩინეს.

ხარაგაულის მერის პირველმა მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მარინე ვეფხვაძემ, მერის თანაშემწე ჟანა ნემსაძემ და საკრებულოს დეპუტატმა ოთარ ლურსმანაშვილმა მეთორმეტეკლასელებს სკოლის დასრულება პირადად მიულოცეს.

„გილოცავთ თითოეულ თქვენგანს სკოლის დასრულებას. ეს დღე ცხოვრების ახალი ეტაპის დასაწყისია და გისურვებთ, რომ შემდგომი გზა სწორი მიმართულებით აგერჩიოთ. ვისურვებდი, მიღებული ცოდნა ხარაგაულის განვითარებისათვის გამოგეყენებინოთ,“ - აღნიშნა მერის პირველმა მოადგილემ.

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ხაზგასმით განმარტა, რომ ხარაგაულში არაჩვეულებრივი მომავალი თაობა იზრდება და საამაყოა, რომ სწავლის მიმართ მათ დიდი ინტერესი აქვთ.

„წინ ძალიან ლამაზი და საინტერესო ცხოვრება გელოდებათ. თითოეულ თქვენგანს მინდა, წარმატება და დასახული მიზნების განხორციელება გისურვოთ. საამაყოა, რომ ხარაგაულში ასეთი კარგი მომავალი თაობა იზრდება“, - განაცხადა საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა.

მოგახსენებთ, რომ ხარაგაულში მიმდინარე წელს სკოლას 138 მეთორმეტკლასელი დაემშვიდობა.

თამარ მაღრაძე

ხარაგაული მუზეუმების საერთაშორისო დღეს შეუერთდა

ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი მუზეუმების საერთაშორისო და ეროვნული სამოსის დღეებს ტრადიციულად შეუერთდა. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ფოტოსურათებისა და ექსპონატების გამოფენა. აღსანიშნავია, რომ მუზეუმის თანამშრომლები დამთვალიერებლებს ეროვნულ სამოსში გამოწყობილნი მასპინძლობდნენ. მუზეუმის ხელმძღვანელის, ნინო დიდიძის, თქმით, „ამ დღესთან დაკავშირებით, პანდემიამდე ყოველწლიურად ეწყობოდა ეროვნული სამოსით ხარაგაულის ქუჩაში მსვლელობა, თუმცა წელს, ისევე როგორც

შარშან, მსვლელობა ვერ შედგა.“

ეროვნული სამოსის დღეს სხვადასხვა საჯარო სამსახურის თანამშრომლებიც შეუერთდნენ. სიმბოლურად, ეროვნული სამოსით მოვიდნენ სამსახურში მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი და მერიის კულტურის სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე.

როგორც ირინე ჩხეიძემ აღნიშნა, ღონისძიებაში ყოველთვის სიხარულით იღებს მონაწილეობას და მისთვის, ეროვნული სამოსით ერთი სამუშაო დღის გატარება, ძალიან სასიამოვნოა.

რაც შეეხება მუზეუმების საერთაშორისო დღეს, ხარაგაულის მუზეუმმა, შეზღუდვების სრულად გათვალისწინებით, კვირეულის ფარგლებში არაერთ დამთვალიერებელს უმასპინძლა. ღონისძიებაზე გადაღებული სურათებით შექმნილი ვიდეომასალა კი მუზეუმის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე აიტვირთება, რომლის ნახვა ნებისმიერ მსურველს შეეძლება. წლევანდელი ICOM -ის მიერ შემოთავაზებული თემა „აღდგენა და გარდასახვა“ იყო.

შეგახსენებთ, რომ მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს (ICOM) გადაწყვეტილებით, 1977 წლის 18 მაისიდან მუზეუმის საერთაშორის დღე მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნება.

მარიამ შარიქაძე

ხარაგაულის კლინიკაში ვაქცინაციის პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს

ხარაგაულის საავადმყოფოში covid-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია განახლდა. ვაქცინაცია კვირაში ორ დღეს - სამშაბათსა და ხუთშაბათს- ტარდება და თითოეულ დღეს წინასწარ დარეგისტრირებული 35-მდე ადამიანი იცრება. დიდი მოთხოვნაა ,,სინოფარმის“ ვაქცინაზე, რომელსაც ამ დრომდე უკუჩვენება არ გამოვლენია.

როგორც კლინიკის უფროსი ექთანი თამარ ქავთარია აღნიშნავს, მედპერსონალი მობილიზებულია და კლინიკა ყველა საჭირო მედიკამენტითაა აღჭურვილი. „ჯერჯერობით ვაქცინაციის პროცესი წარმატებით ხორციელდება და რაიმე უკუჩვენებას ადგილი არ ჰქონია. გვყავს რეანიმატოლოგი და მზად გვაქვს ანტიშოკური მედიკამენტები. ვაქცინაციამდე მსურველი ავსებს სპეციალურ

კითხვარს, ხდება მათი სრული გამოკითხვა და მონიტორინგი. პარალელურად მიმდინარეობს პაციენტების სატურაციის, წნევისა და პულსის კონტროლი და მხოლოდ დამაკმაყოფილებელი პასუხების შემდეგ ვუკეთებთ აცრას. აცრილს 40 წუთის განმავლობაში კლინიკაში ვტოვებთ, რათა მოხდეს დაკვირვება და, უკუჩვენების შემთხვევაში, გაეწიოს პირველადი დახმარება.“ - აღნიშნავს თამარ ქავთარია.

რაც შეეხება covid-19-ის ვაქცინაციისათვის რეგისტრაციას, მსურველები სპეციალურად შექმნილ ონლაინ პორტალზე წინასწარ რეგისტრირდებიან. რეგისტრაციის ელექტრონული მისამართია: booking.moh.gov.ge.

დამატებითი კონსულტაცია შეგიძლიათ, მიიღოთ მითითებულ ცხელ ხაზზე: 1522; საშუაო საათებია 09.00-23.00 სთ;

covid-19-ის ვაქცინაციაში მონაწილეობა შეუძლია ყველა მოქალაქეს 18 წელს ზემოთ.

ვაქცინაცია ნებაყოფლობითია და ორ ეტაპად ხორციელდება. მეორე ეტაპი პირველადი ვაქცინაციის შემდეგ ოცდამეერთე დღეს ტარდება. თარიღის შესახებ მოქალაქეები წინასწარ არიან ინფორმირებული, ინფორმაცია ასევე ეგზავნებათ მობილური ტელეფონის ნომერზე.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ვაქცინაციაში აქტიურად ჩაერთნენ ხარაგაულის მერიის თანამშრომლები.

მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი, პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი, თანაშემწე ჟანა ნემსაძე და საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“ დემოკარტიული საქართველოს თავმჯდომარე პაატა გოგოლაძე ,,სინოფარმის“ ვაქცინით, ქუთაისში ო. ჩხობაძის სახელობის მრავალპროფილურ კლინიკაში აიცრნენ.

მარიამ შარიქაძე

ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი ახალ სპექტაკლზე მუშაობს

მიმდინარე წელს იმერეთის თეატრალური ფესტივალი კვლავ პანდემიის პირობებში გაიმართება, რომელსაც ტრადიციულად ქუთაისი უმასპინძლებს. ფესტივალზე ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი (რეჟისორი ირინე ჩხეიძე) რეზო კლდიაშვილის პიესა „იმერული რექვიემის“ სცენარით დადგმული სპექტაკლით წარდგება. ფესტივალში მონაწილეობამდე კი სპექტაკლის ჩვენება ხარაგაულელი მაყურებლებისთვის კინოთეატრში კოვიდრეგულაციების სრული დაცვით, ივნისში, მოეწყობა.

„მოუთმენლად ველოდებით მონატრებული მაყურებლის წინაშე წარდგომას. ვიცით, რომ ისინიც დიდი სიყვარულით გველოდებიან და ყველაფერს გავაკეთებთ , რომ მათი იმედები გავამართლოთ. შევეცდებით, ფესტივალზე ღირსეულად წარვადგინოთ ხარაგაულის 120-წლიანი ისტორიის მქონე თეატრი,“- ერთხმად აღნიშნავენ დასის წევრები.

რეჟისორის, ირინე ჩხეიძის ინფორმაციით, სპექტაკლის მუსიკალურ მხარეზე ანუშკა ჩხეიძე მუშაობს, მხატვრული გამფორმებელი კი გაიოზ შუბითიძეა.

მარიამ შარიქაძე

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე სამუშაოები იწყება

მიმდინარე წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს პროექტების განსახორციელებლად 890 000 ლარი გამოეყო. ხარაგაულის მერის კობა ლურსმანაშვილის გადაწყვეტილებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით კი 193 000 ლარი დაემატება. პროექტების შერჩევის მიზნით ყველა სოფელში ჩატარდა კრება და, საერთო ჯამში, 156 პროექტი შეირჩა, რომელთა განხორციელებაც მიმდინარე წელს დასრულდება.

როგორც მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურში განმარტავენ, სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტექნიკური საკითხების დაზუსტება და ი/მ-ებთან ხელშეკრულებები ფორმდება.

შეგახსენებთ, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შესრულდება.

თამარ მაღრაძე

ყურადღება, აუქციონი!

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით ელექტრონული აუქციონი ცხადდება.

კერძოდ: სოფელი ზვარე – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (ობიექტის საწყისი ღირებულება 1600 ლარი);

დაბა ხარაგაული სს ,,იმერის“ ტერიტორიაზე - ავტომანქანა MERSEDES BENZ ML 320, სახ N HH748HP (ობიექტის საწყისი ღირებულება 2800 ლარი;

დაბა ხარაგაული, 9 აპრილის ქუჩა N15 –ავტომანქანა MITSUBISHI DELIKA, სახ N MS 142SS (ობიექტის საწყისი ღირებულება 5200 ლარი);

დაბა ხარაგაული, 9 აპრილის ქუჩა N15 – ავტობუსი BOGDAN, მოდელი A, სახ N WW435P (ობიექტის საწყისი ღირებულება 21 000 ლარი);

წინასწარი შესატანი „ბეს“ ოდენობა საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 10%-ია;

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ, იხილოთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: eauction.ge;

აუქციონი 2021 წლის 3 ივნისს 16 საათზე დასრულდება.

ხარაგაულის მერიაში ცხელი ხაზი ფუნქციონირებს

ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოქალაქეებს შორის, კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, ხარაგაულის მერიაში ცხელი ხაზი მოქმედებს.

ცხელი ხაზი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის“ ბაზაზე 2015 წლიდან, ხარაგაულის მერის ბ-ნ კობა ლურსმანაშვილის ინიციატივით, ფუნქციონირებს.

როგორც ცენტრის დირექტორი ეკა შავიძე განმარტავს, ცხელი ხაზის მეშვეობით მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, დაამყარონ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან კომუნიკაცია და უმოკლეს დროში მოიპოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია.

„დღის განმავლობაში უამრავი ზარი შემოდის. ძირითადად, რეკავენ ის ადამიანები, ვისაც კონკრეტული პრობლემები აქვთ, ან სურთ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე დაზუსტებული პასუხების მიღება. დიდი მომართვიანობაა ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებზე ინფორმაციის მიღების მიზნით, უძრავი ქონებისა და მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებულ საკითხებზე. შემოდის ასევე სხვადასხვა შინაარსის კითხვები, რომელთა გადამისამართება ხდება შესაბამის სამსახურებთან. განსაკუთრებული დატვირთვით მუშაობდა ცხელი ხაზი პან-

დემიის პერიოდში.“-აცხადებს ცენტრის დირექტორი.

შეგახსენებთ, რომ ხარაგაულის მერიის ცხელი ხაზის ნომერია 0433 22 32 25.

დარეკვა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, როგორც მობილური ოპერატორიდან, ასევე ფიქსირებული სატელეფონო ქსელიდან.

მარიამ შარიქაძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ: 595-51-98-12